ოქმი:**ო37. 3723244001**

თარიღი:**01/09/2023**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2023 წელი, 30 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

11.00 -12.30 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი,ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ნ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნ. გოლიაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შოვის ტრაგედიის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნას, სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებისთანავე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „წევრმა თ. ნიკოლაშვილმა გააკეთა განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თხილის დაბალ ფასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს ფასების დარეგულირებაზე.

დღის წესრიგი

48.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე (ს/კ 26.26.40.121) მდებარე 2503 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

49.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

50.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 26.29.24.133) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 - ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

18.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების

შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დადგენილების პროექტის გაცნობამდე თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ არ შეუძლია არ აღნიშნოს თხილის ფასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე-მუნიციპალიტეტს არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი საფუძველი ზეგავლენა მოახდინოს ფასწარმოქმნის პროცესზე. ფასი საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგულირდება პროდუქტზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობისა და პროდუქციის ხარისხის, ანუ მისი სამომხმარებლო ღირებულების საფუძველზე. ამდენად განცხადება იყო დესტრუქციული და ორიენტირებული მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაზე.

51.5. დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილი ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

გოჩა აბაშმაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

52.6. ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ -

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

გოჩა აბაშმაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მსგავსი მდგომარეობაა კ. გამსახურდიას ქუჩაზეც, აქაც დგანან სატვირთო ავტომობილები, მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს პრობლემის მოგვარება. საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ განაცხადა, რომ მოქალაქეებს თვითნებურად აქვთ მოწყობილი კუსტარული ბარიერები, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს მუნიციპალურმა ინსპექციამ.

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმომოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

ანგარიში საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას-როგორია პროგნოზი ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგებზე? განუმარტეს, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკაც, ამდენად მოსალოდნელია ბიუჯეტის 105%-ით შესრულება, წინასწარი გაანგარიშებით ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 73 მილიონ ლარს მიაღწევს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშს.

53.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

54.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ ზღვისპირა ზოლში იქნება მუნიციპალიტეტის ქონების თვითნებურად მითვისების ფაქტები, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

55.10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელ გ. ჩავლეშვილს, შესაძლებელია თუ არა მსგავსი გეგმები შეიმუშაონ და განახორციელონ სხვა კომისიებმაც? რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ დასვა შეკითხვა-როგორ ფიქრობენ მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას კომისიის მუშაობაში? განუმარტეს, რომ კომისიის მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობა ექნება ყველა დაინტერესებულ პირს. საკრებულოს წევრი გ. შილაკაძე დაინტერესდა- როგორ გამოავლენენ დაინტერესებულ პირებს? განუმარტეს, რომ ეს მოხდება კომისიის მუშაობაზე ინფორმაციის მისაწვდომობის გაზრდით და ყველა იმ ბერკეტის დასახვით, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

56.11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მეგობრობის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

57.12. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N58 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 - ხმით

58.13. ქალაქ ოზურგეთიში სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ,,ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 - ხმით

59.14. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნიკა ბოლქვაძე

გოჩა აბაშმაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 - ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. არაშიძემ დასვა შეკითხვა 28 მარტის სტიქიით დაზიანებული მოსახლეობის დახმარების თაობაზე. განუმარტეს, რომ შესაბამისი დახმარება გაეწია 1000-ზე მეტ ოჯახს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

15. ინფორმაცია 2022 წლის და 2023 წლის 6 თვის მდგომარეობით კულტურისა და სპორტის განვითარების პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

ლალი სიჭინავა

ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ დასვა შეკითხვა ცნობილ ფეხბურთელ იური ჩხაიძის ხსოვნის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, განუმარტეს, რომ მიიმდინარეობს საუბრი საფეხბურთო კლუბ „მერცხალთან“. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავა განაცხადა, რომ კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტის საკვანძო მიმართულებებია, ოზურგეთი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურისა და სპორტის წარმატებებით, მისასალმებელია ამ კუთხით ბოლოდროინდელი ღონისძიებების შინაარსი და ხარისხი. ანგარიში იყო შინაარსიანი და აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშს, ამასთან უნდა აღინიშნოს, იგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა რომ შედგენილ ანგარიშს ახლდეს ამ პროგრამების შესრულებით მიღებული შედეგების შეფასების ინდიკატორების მაჩვენებელთა ანალიზი.

16. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები და ა.შ.).

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „ წევრმა გ. შილაკაძემ გააკეთა განცხადება -ფლობენ თუ არა ინფორმაციას მდინარე ბჟუჟზე კასკადური ჰესების მოსალოდნელი აგების თაობაზე, განუმატეს, რომ დადასტურებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში აცნობებენ განცხადების ავტორსაც და საზოგადოებასაც, თუცა მას, როგორც საკრებულოს წევრს, უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ თანამდებობის პირს ან სამსახურს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი